განკარგულება:**g-31. 31231453**
თარიღი:**25/05/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №35

2023 წლის 25 მაისი

ქ. ლანჩხუთი

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ზაზა ჩხაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4[1] მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. გაიცეს თანხმობა, სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ზაზა ჩხაიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი